# სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,074.15 მილიონ აშშ დოლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის 74%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისაგან - პორტფელის საკონტრაქტო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 22.6 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 10.6 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 1.93%-ს.

**სახელწმიფო ვალის სტრუქტურა 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით**




სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 74% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე. სახელწმიფო საგარეო ვალის 47% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსების დიდი წილის გამო.

**საპროცენტო განაკვეთის ტიპი**




**სავალუტო სტრუქტურა**



# სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა

**2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით**

| კრედიტორი | კრედიტის ვალუტა | ნაშთი (ათასი) | | | საპროცენტო განაკვეთი | შეწონილი საპროცენტო განაკვეთი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | კრედიტის ვალუტაში | აშშ დოლარში | ლარში | | |
| *სახელმწიფო საგარეო ვალი* | | | *4,074,153* | *7,139,546* | | |
| **მრავალმხრივი კრედიტორები** | | | **2,807,215** | **4,919,363** | | |
| განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (WB - IDA) | SDR | 732,716 | 1,086,311 | 1,903,651 | 0.75% | 0.200% |
| | | 149,858 | 222,176 | 389,341 | 2.00% | 0.109% |
| | | 6,846 | 10,150 | 17,786 | 2.15% | 0.005% |
| რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (WB - IBRD) | USD | 215,296 | 215,296 | 377,286 | 0.43% | 0.023% |
| | | 57,212 | 57,212 | 100,259 | 0.63% | 0.009% |
| | | 10,000 | 10,000 | 17,524 | 0.79% | 0.002% |
| | | 33,500 | 33,500 | 58,705 | 0.83% | 0.007% |
| | | 157,794 | 157,794 | 276,518 | 0.83% | 0.032% |
| სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | SDR | 15,159 | 22,474 | 39,384 | 0.75% | 0.004% |
| | | 4,707 | 6,978 | 12,228 | 0.56% | 0.001% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF PRGF) | SDR | 32,200 | 47,739 | 83,658 | 0.50% | 0.006% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF SBA -მოიცავს ეროვნული ბანკის ვალს) | SDR | 101,150 | 149,963 | 262,795 | 1.04% | 0.038% |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | EUR | 448 | 568 | 995 | 1.18% | 0.030% |
| | | 79,856 | 101,319 | 177,552 | | |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | SDR | 141,822 | 210,262 | 368,463 | 1.00% | 0.052% |
| | | 70,540 | 104,581 | 183,268 | 1.60% | 0.041% |
| | | 46,879 | 69,502 | 121,795 | 1.00% | 0.017% |
| | USD | 91,667 | 91,667 | 160,637 | 0.47% | 0.011% |
| | | 16,034 | 16,034 | 28,098 | 0.78% | 0.003% |
| | | 54 | 54 | 95 | 0.78% | 0.000% |
| ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) | EUR | 89,615 | 113,701 | 199,250 | 0.93% | 0.026% |
| | EUR | 40,000 | 50,751 | 88,936 | 1.00% | 0.012% |
| | EUR | 23,000 | 29,182 | 51,138 | 1.04% | 0.007% |
| **ორმხრივი კრედიტორები** | | | **764,214** | **1,339,208** | | |
| ავსტრია | EUR | 10,930 | 13,868 | 24,302 | 1.00% | 0.003% |
| აზერბაიჯანი | USD | 11,611 | 11,611 | 20,347 | 3.00% | 0.009% |
| თურქმენეთი | USD | 211 | 211 | 370 | 4.00% | 0.000% |
| თურქეთი | USD | 22,198 | 22,198 | 38,900 | 3.00% | 0.016% |
| ირანი | USD | 9,063 | 9,063 | 15,881 | 3.00% | 0.007% |
| რუსეთი | USD | 95,298 | 95,298 | 167,001 | 4.00% | 0.094% |
| სომხეთი | USD | 13,741 | 13,741 | 24,080 | 3.00% | 0.010% |
| უზბეკეთი | USD | 282 | 282 | 493 | 3.00% | 0.000% |
| უკრაინა | USD | 257 | 257 | 451 | 3.00% | 0.000% |
| ყაზახეთი | USD | 27,774 | 27,774 | 48,671 | 4.00% | 0.027% |
| ჩინეთი | CNY | 24,000 | 3,901 | 6,837 | 0.00% | 0.000% |
| გერმანია (KfW) | EUR | 41,139 | 52,196 | 91,468 | 2.00% | 0.026% |
| | | 71,591 | 90,833 | 159,175 | 6.06% | 0.135% |
| | | 1,538 | 1,951 | 3,419 | 4.20% | 0.002% |
| | | 135,844 | 172,356 | 302,036 | 0.75% | 0.032% |
| იაპონია | JPY | 3,508,056 | 32,054 | 56,171 | 2.30% | 0.018% |
| | | 1,584,829 | 14,481 | 25,376 | 0.01% | 0.000% |
| | | 9,228,225 | 84,320 | 147,762 | 0.65% | 0.013% |
| | | 264,515 | 2,417 | 4,235 | 1.30% | 0.001% |
| კუვეიტი | KWD | 5,584 | 19,383 | 33,967 | 3.00% | 0.014% |
| ნიდერლანდები | EUR | 192 | 244 | 427 | 4.20% | 0.000% |
| | | 1,172 | 1,487 | 2,606 | 5.10% | 0.002% |
| აშშ | USD | 7,644 | 7,644 | 13,395 | 2.25% | 0.004% |
| | | 574 | 574 | 1,006 | 1.50% | 0.000% |
| | | 10,720 | 10,720 | 18,786 | 2.50% | 0.007% |
| | | 11,563 | 11,563 | 20,262 | 2.00% | 0.006% |
| საფრანგეთი | EUR | 18,430 | 23,383 | 40,977 | 1.10% | 0.006% |
| | | 31,846 | 40,405 | 70,806 | 1.98% | 0.020% |
| **ფასიანი ქაღალდები** | | - | **500,000** | **876,200** | | |
| ევროობლიგაცია 2021 | USD | 500,000 | 500,000 | 876,200 | 6.875% | 0.844% |
| **გარანტირებული კრედიტები** | | - | **2,725** | **4,775** | | |
| გერმანია (KfW) | EUR | 2,147 | 2,725 | 4,775 | 0.75% | 0.001% |
| | | | | | **საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი** | **1.93%** |

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების გამოყოფას 690,000.0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე მსოფლიო ბანკის განვითარების პოლიტიკის ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია 155,000.0 ათასი ლარი და სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი 85,000.0 ათასი ლარის ოდენობით ბიუჯეტის მხარდასაჭერად. დაგეგმილი თანხების ათვისების შემთხვევაში შენარჩუნებული იქნება სახელმწიფო საგარეო ვალის პარამეტრების მდგრადობა.

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 545,000.0 ათასი ლარი, საიდანაც 345,000.0 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 200,000.0 ათასი ლარი - პროცენტის თანხას:

**სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2015 წლისათვის**

ათასი ლარი

| კრედიტორები | ძირითადი თანხა | პროცენტი | სულ 2015 |
|---|---|---|---|
| | ***345,000*** | ***200,000*** | ***545,000*** |
| ავსტრია | - | 277 | 277 |
| კუვეიტი | 3,835 | 1,054 | 4,889 |
| იაპონია | 7,731 | 4,275 | 12,006 |
| გერმანია | 36,861 | 17,279 | 54,140 |
| აშშ | 2,801 | 1,128 | 3,929 |
| სომხეთი | 1,846 | 705 | 2,551 |
| აზერბაიჯანი | 1,431 | 594 | 2,025 |
| ირანი | 1,143 | 462 | 1,605 |
| ყაზახეთი | 7,695 | 16,370 | 24,064 |
| ნიდერლანდები | 315 | 162 | 477 |
| რუსეთი | 12,440 | 6,542 | 18,982 |
| თურქეთი | 2,718 | 1,231 | 3,949 |
| თურქმენეთი | - | 15,356 | 15,356 |
| უკრაინა | 43 | 13 | 56 |
| უზბეკეთი | 47 | 14 | 61 |
| საფრანგეთი | 15,475 | 2,608 | 18,082 |
| ჩინეთი | 945 | - | 945 |
| IDA | 87,305 | 24,349 | 111,653 |
| IBRD | 19,204 | 12,071 | 31,275 |
| IFAD | 1,186 | 498 | 1,684 |
| EBRD | 19,931 | 4,781 | 24,711 |
| EIB | 4,357 | 13,651 | 18,008 |
| ADB | 14,583 | 13,677 | 28,261 |
| IMF | 103,110 | 2,748 | 105,858 |
| ევრობონდი | - | 60,156 | 60,156 |

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიას.

საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (კუპონის და დისკონტის განაკვეთები) 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 12 თვიან სახაზინო ვალდებულებებზე შეადგენს 5.8%, 2 წლიანზე - 7.2%, 5 წლიანზე - 9.3%, 10 წლიანზე - 11.1%.

სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,837.4 მილიონ ლარს, აქედან 1,255.5 მილიონი ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, ხოლო 581.8 მილიონი ლარი - „სახელმწიფო ობლიგაციები სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში.

**საქართველოს სახელმწიფო საშიანო ვალის ნაშთი 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით**

*ათასი ლარი*

| | |
|---|---|
| **სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი** | **1,837,356** |
| **სახაზინო ფასიანი ქაღალდები** | **1,255,510** |
| 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები | 384,200 |
| 2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 396,286 |
| 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 370,024 |
| 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 105,000 |
| **სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები** | **581,846** |
| სახელმწიფო ობლიგაცია სებ-თვის | 440,846 |
| სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის | 141,000 |

**შენიშვნა:** სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი არ მოიცავს ე.წ. "ისტორიულ ვალს". "ისტორიული ვალის“ მოცულობა საორიენტაციოა, ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია

2015 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საშინაო ვალდებულებების კლებას 531,985.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თნხის დაფარვას - 496,985.9 ათასი ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) - 35,000.0 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად. 2015 წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულებების ზრდა შეადგენს 896,985.9 ათას ლარს. შესაბამისად, სახაზინო ვალდებულების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულების ცვლილება განისაზღვრება არა უმეტეს 400,000.0 ათასი ლარის წმინდა ზრდით.

** სახელმწიფო საშიანო ვალის ნაშთი მოცემულია ნომინალური ღირებულებით.*

2015 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში შეადგენს დაახლოებით 35.7%, აქედან სახელმწიფო საგარეო ვალი დაახლოებით 26.4%, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალი დაახლოებით 9.3%-ს შეადგენს.

# სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2015 წლის ბოლოსთვის

*ათასი ლარი*

| | | |
|---|---|---|
| **სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა** | | **8,397,561** |
| **მრავალმხრივი კრედიტორებისაგან** | | **5,952,622** |
| 1 | მსოფლიო ბანკი (WB) | 3,595,195 |
| 2 | სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | 59,440 |
| 3 | საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) | 217,000 |
| 4 | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 172,441 |
| 5 | აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 1,311,747 |
| 6 | ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) | 596,799 |
| **ორმხრივი კრედიტორებისაგან** | | 1,527,308 |
| 1 | ავსტრია | 25,822 |
| 2 | აზერბაიჯანი | 18,716 |
| 3 | თურქმენეთი | 369 |
| 4 | თურქეთი | 35,823 |
| 5 | ირანი | 14,546 |
| 6 | რუსეთი | 151,940 |
| 7 | სომხეთი | 21,782 |
| 8 | უზბეკეთი | 424 |
| 9 | უკრაინა | 387 |
| 10 | ყაზახეთი | 48,605 |
| 11 | ჩინეთი | 5,880 |
| 12 | გერმანია | 586,735 |
| 13 | იაპონია | 417,160 |
| 14 | კუვეიტი | 30,853 |
| 15 | ნიდერლანდები | 2,809 |
| 16 | ამერიკა | 47,842 |
| 17 | საფრანგეთი | 117,614 |
| **სხვა საგარეო ვალდებულებები** | | **875,000** |
| 1 | ევრობონდები | 875,000 |
| **სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები** | | **4,657** |
| 1 | გერმანია | 4,657 |
| **საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)** | | **37,975** |
| **საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა** | | **2,953,971** |
| 1 | ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია | 400,846 |
| 2 | სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის | 137,000 |
| 3 | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები | 420,745 |
| 4 | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები | 1,323,055 |
| 5 | ისტორიული ვალი | 672,325 |
| **სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა** | | **11,351,532** |

*შენიშვნა: კურსი - 1 აშშ დოლარი=1.75 ლარი;*
*სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი მოცემულია ნომინალური ღირებულებით.*